ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია
Literature and Literary Theory

„ჭალას ჩიტის“ ინტერტექსტუალური სემანტიკა: თამაზ ჭილაძის პიესისა და ინგა ბახტაძის ნოველის შედარებითი ანალიზი

გურანდა გობიანი
ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
ელ. ფოსტა:gurandagobiani@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.11
SJIF 2026: 8.679

კვლევა მიზნად ისახავს ,,ჭალას ჩიტის“ ფოლკლორული ფორმულის ინტერტექსტუალური ფუნქციისა და სემანტიკური ტრანსფორმაციის შესწავლას თამაზ ჭილაძის პიესაში ,,ჭალას ჩიტი მომკვდარიყო“ და ინგა ბახტაძის ნოველაში ,,ჭალას ჩიტი ჩამკვდარიყო“. ნაშრომის აქტუალობას განსაზღვრავს საერთო ფოლკლორული პირველწყაროს განსხვავებული მხატვრული ინტერპრეტაციისა და ორი ტექსტის ურთიერთმიმართების კვლევა. ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს ერთი და იმავე ფოლკლორული კოდის ფუნქციონირების შედარებით ანალიზში დრამატულ და პროზაულ ტექსტებში. კვლევა ეფუძნება კომპარატივისტულ, ინტერტექსტუალურ და ჰერმენევტიკულ მეთოდებს. ანალიზი წარმოაჩენს, რომ ჭილაძის პიესაში ,,ჭალას ჩიტის“ ფორმულა სოციალური, პოლიტიკური და ეთიკური კრიზისის, თავისუფლების დაკარგვისა და ზნეობრივი არჩევანის ტრაგიზმის გამომხატველ კოდად გარდაიქმნება. ბახტაძის ნოველაში კი იგი მეხსიერების, კულტურული იდენტობისა და პიროვნული არსებობის თანდათანობითი რღვევის სემანტიკურ ველში გადაინაცვლებს. სათაურებში გამოყენებული ფორმები — ,,მომკვდარიყო“ და ,,ჩამკვდარიყო“ — ამ განსხვავებული მხატვრული მოდელების გააზრების მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის. კვლევა აჩვენებს, რომ ფოლკლორული ფორმულა ლიტერატურულ ტექსტებში არა მხოლოდ კულტურული მეხსიერების მატარებელია, არამედ ახალი მნიშვნელობების წარმოქმნისა და ტრაგიკული გამოცდილების განსხვავებული მოდელების ორგანიზების მექანიზმიც.

საკვანძო სიტყვები: *ფოლკლორული ფორმულა, ინტერტექსტუალობა, სემანტიკური ტრანსფორმაცია, კულტურული მეხსიერება, ტრაგიზმი, თამაზ ჭილაძე, ინგა ბახტაძე.*

ფოლკლორული ტექსტების ინტერტექსტუალური რეპრეზენტაცია თანამედროვე ლიტერატურაში კულტურული მეხსიერების ფუნქციონირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან

ფორმად მიიჩნევა. ტრადიციული სიტყვიერების ცალკეული სახეები, მოტივები თუ სიმბოლოები ახალ მხატვრულ სისტემებში არა მხოლოდ ინარჩუნებს თავდაპირველ სემანტიკურ შრეს, არამედ განსხვავებული ისტორიულ-კულტურული კონტექსტების ზემოქმედებით მნიშვნელობათა ახალ ველებსაც წარმოქმნის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ხალხურ ლექსში დაფიქსირებული ფორმულა — „ჭალას ჩიტი“, რომელიც ქართულ ფოლკლორულ ცნობიერებაში ტრაგიკული განცდის, დანაკარგის, სულიერი ტკივილისა და სიცოცხლისეული ჰარმონიის რღვევის სიმბოლოდ არის დამკვიდრებული.

თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში აღნიშნული ფოლკლორული კოდის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ტრანსფორმაციას ვხვდებით თამაზ ჭილაძის პიესაში „ჭალას ჩიტი მომკვდარიყო“ და ინგა ბახტაძის ნოველაში „ჭალას ჩიტი ჩამკვდარიყო“. ორივე ტექსტი ერთსა და იმავე კულტურულ პირველწყაროს უკავშირდება, თუმცა განსხვავებული ჟანრული ბუნების, ავტორული ესთეტიკისა და მსოფლმხედველობრივი პარადიგმის პირობებში სრულიად განსხვავებულ სემანტიკურ კონფიგურაციებს ქმნის. ამდენად, ფოლკლორული ტექსტი ორივე შემთხვევაში გვევლინება არა მხოლოდ ციტირების ან ალუზიის წყაროდ, არამედ ტექსტის მნიშვნელობის ორგანიზების მნიშვნელოვან მექანიზმად.

ინტერტექსტუალობის თანამედროვე თეორიები (მ. ბახტინი, ი. კრისტევა, ჟ. ჟენეტი) ტექსტს განიხილავენ, როგორც მრავალხმიან კულტურულ სივრცეს, სადაც ყოველი ახალი ტექსტი წინამორბედ ტექსტებთან მუდმივ დიალოგში იმყოფება. როლან ბარტი აღნიშნავს, რომ „ყოველი ტექსტი წარმოადგენს ინტერტექსტს, სხვა ტექსტები მასში არსებობენ სხვადასხვა დონეზე, რომელთა დადგენა შესაძლებელია, როგორც ტექსტში ადრე არსებული კულტურის, ისე გარე კულტურათა კოდების მიხედვით. ყოველი ტექსტი წარმოადგენს ახალ ქსოვილს, შექმნილს ძველი ციტატებისგან“ (ბარტი, 1994:78, ციტირებულია: კინწურაშვილი, 2009:17). ინტერტექსტუალური მიმართებების კვლევისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ წინარე ტექსტის ამოცნობა, არამედ იმის დადგენაც, თუ როგორ გარდაიქმნება მისი მნიშვნელობა ახალ მხატვრულ კონტექსტში. იულია კრისტევას ინტერტექსტუალობის კონცეფცია ტექსტს კულტურული და ტექსტობრივი ურთიერთქმედების სივრცედ წარმოაჩენს, ხოლო ჟერარ ჟენეტის ტექსტებს შორის მიმართებების თეორია საშუალებას იძლევა, უფრო კონკრეტულად განვიხილოთ წინარე ტექსტთან დაკავშირების ფორმები და მათი გარდაქმნა (Kristeva, 1980; Genette, 1997).

ამ კონცეფციის ჭრილში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ როგორ გარდაიქმნება ერთი და იგივე ფოლკლორული კოდი სხვადასხვა ავტორის მხატვრულ სისტემაში და როგორ იცვლება მისი სემანტიკური ფუნქცია განსხვავებულ კულტურულ თუ იდეოლოგიურ კონტექსტებში. აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კულტურული მეხსიერების კვლევაც (იან და ალეიდა ასმანები), რომლის თანახმად, ლიტერატურული ტექსტი კოლექტიური გამოცდილების შენახვისა და ხელახალი ინტერპრეტაციის ერთ-ერთ ძირითად მექანიზმად გვევლინება.

თამაზ ჭილაძის პიესა „ჭალას ჩიტი მომკვდარიყო“ და ინგა ბახტაძის ნოველა „ჭალას ჩიტი ჩამკვდარიყო“ დღემდე არ გამხდარა ერთიანი შედარებითი კვლევის საგანი, მიუხედავად სათაურებსა და მხატვრულ სისტემებში გამოვლენილი აშკარა ინტერტექსტუალური კავშირისა.

შესაბამისად, კვლევის მეცნიერული სიახლე განისაზღვრება არა მხოლოდ ორი განსხვავებული ჟანრის ტექსტის პირველად შეპირისპირებით, არამედ „ჭალას ჩიტის“ ფოლკლორული კოდის, როგორც ინტერტექსტუალური მექანიზმის, ფუნქციონირებისა და სემანტიკური ტრანსფორმაციის გამოვლენით. კვლევა მიზნად ისახავს დაადგინოს, როგორ იქცევა საერთო ფოლკლორული პირველწყარო განსხვავებულ მხატვრულ სისტემებში ტრაგიკული გამოცდილების მნიშვნელობის მაორგანიზებელ პრინციპად და როგორ წარმოშობს იგი სოციალური, ეთიკური, მეხსიერებითი და ეგზისტენციალური სემანტიკის განსხვავებულ მოდელებს.

კვლევის ჰიპოთეზის თანახმად, საერთო ფოლკლორული პირველწყაროს მიუხედავად, „ჭალას ჩიტის“ სახე ორივე ტექსტში განსხვავებულ მხატვრულ ფუნქციას ასრულებს: თამაზ ჭილაძესთან იგი სოციალური და ეთიკური კრიზისის სიმბოლოდ გვევლინება, ხოლო ინგა ბახტაძესთან — კულტურული მეხსიერების, პიროვნული იდენტობისა და არსებობის თანდათანობითი რღვევის მეტაფორად. შესაბამისად, ერთი და იმავე ფოლკლორული ფორმულის საფუძველზე ავტორები ქმნიან ტრაგიზმის განსხვავებულ მოდელებს, რომლებიც თანამედროვე ქართული ლიტერატურის მსოფლმხედველობრივ მრავალფეროვნებას წარმოაჩენს.

კვლევა ეფუძნება კომპარატივისტულ, ინტერტექსტუალურ და ჰერმენევტიკულ მეთოდებს. ამ მეთოდთა ერთობლიობა შესაძლებელს ხდის გამოვლინდეს, თუ როგორ წარმოშობს ერთი და იგივე ფოლკლორული ფორმულა სხვადასხვა ჟანრულ სისტემასა და ავტორულ მოდელში ტრაგიკული გამოცდილების განსხვავებულ სემანტიკურ კონფიგურაციებს.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ხალხური ლექსის ფორმულა:

„ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, / ჭალას ჩიტი მომკვდარიყო,

დიდ ქვაბში არ ეტეოდა, / პატარაში ლაღად იყო,

ასმა კაცმა ვერ შეჭამა, / ერთი კაცის ლუკმა იყო“.

(ხალხური)

აღნიშნულ ტექსტში ერთმანეთთან შეპირისპირებულია ისეთი სემანტიკური ნიშნები, რომლებიც ლოგიკური თვალსაზრისით ურთიერთგამომრიცხავია: უზარმაზარი და მცირე, მრავლობითი და ერთობითი, შეუძლებლობა და შესაძლებლობა. სწორედ ამ წინააღმდეგობრივ კონსტრუქციაზეა აგებული ხალხური ფორმულის პარადოქსული ბუნება. თუმცა მისი მნიშვნელობა მხოლოდ ლოგიკური შეუსაბამობის ეფექტით არ განისაზღვრება. ფოლკლორული ტექსტის ძალა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ პარადოქსული სურათი მკითხველის/მსმენელის ცნობიერებაში წარმოშობს დამატებით მნიშვნელობრივ ასოციაციებს და კონკრეტულ საგნობრივ რეალობას განაზოგადებს.

„ჭალას ჩიტი“ ამ ფორმულაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახეა. ჩიტის სახე ქართულ ფოლკლორულ და ზოგადად ლიტერატურულ ტრადიციაში დაკავშირებულია სიცოცხლის, მოძრაობის, თავისუფლებისა და ხმის სემანტიკურ ველებთან. ამდენად, მისი სიკვდილი ბუნებრივად ქმნის საპირისპირო მნიშვნელობათა კონფიგურაციას: სიცოცხლის შეწყვეტას, მოძრაობის გაჩერებას, ხმის დადუმებასა და თავისუფლების დაკარგვას. ამასთან, მოცემულ ხალხურ ტექსტში ჩიტის სიკვდილი თავისთავად არ არის აღწერილი; იგი წარმოდგენილია პარადოქსული სურათის ცენტრში და სწორედ ამ გზით იძენს განზოგადებულ, მეტაფორულ მნიშვნელობას.

საყურადღებოა ასევე სივრცითი კომპონენტი — „ჭალა“. ჭალა, როგორც ბუნებრივი და სიცოცხლისუნარიანი სივრცე, ქმნის იმ გარემოს, რომელშიც ჩიტის არსებობა ბუნებრივად აღიქმება. ამ კონტექსტში ჩიტის სიკვდილი მხოლოდ ცალკეული არსების დაღუპვა აღარ არის; იგი შეიძლება აღქმული იქნეს როგორც იმ სივრცის ბუნებრივი წესრიგის დარღვევის ნიშანი, რომელშიც სიცოცხლე, მოძრაობა და ხმა უნდა არსებობდეს. შესაბამისად, „ჭალას ჩიტი“ ფოლკლორულ ფორმულად უკვე შეიცავს ტრაგიკული გამოცდილების პოტენციალს, რომლის აქტუალიზაცია სხვადასხვა ლიტერატურულ ტექსტში განსხვავებული მიმართულებით არის შესაძლებელი.

განსაკუთრებით საინტერესოა ფორმულის შემდგომი ტრანსფორმაცია თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. თამაზ ჭილაძის პიესის სათაური — „ჭალას ჩიტი მომკვდარიყო“ — პირდაპირ იმეორებს ხალხური ლექსის საკვანძო ფორმულას. ავტორის ტექსტში ხალხური ლექსი უშუალოდ არ არის მხოლოდ ციტირებული; იგი დრამატული სამყაროს სემანტიკურ ფონად ფუნქციონირებს. პიესის დასაწყისში ანდროს რეპლიკა — „ჭალას ჩიტი მომკვდარიყო…“ — ქმნის ინტერტექსტუალურ კავშირს, რომელიც შემდგომ მთელი დრამის მნიშვნელობრივ სტრუქტურას გასდევს. ამგვარად, ხალხური ტექსტი დრამაში ერთდროულად დაუსწრებელი და მუდმივად მოქმედი ტექსტია: იგი სიტყვასიტყვით არ განაგრძობს საკუთარ თხრობას, მაგრამ მისი პარადოქსული სემანტიკა ახალ დრამატულ რეალობაში განახლებული მნიშვნელობით ფუნქციონირებს. თამაზ ჭილაძის პიესაში ეს ფოლკლორული ფორმულა უკავშირდება ძალაუფლების, ღალატის, ზნეობრივი კომპრომისისა და თავისუფლების დეფორმირებული გაგების პრობლემატიკას (გობიანი, 2023).

პიესის ინტერტექსტუალური ბუნების განსაზღვრისას არსებითია ის გარემოება, რომ ფოლკლორული ტექსტი ნაწარმოებში მთლიანად არ მეორდება. ხალხური ლექსის პარადოქსული ფორმულა დრამატული რეალობის პირდაპირი აღწერის ნაცვლად მისი სემანტიკური მოდელის ფუნქციას ასრულებს. ხალხურ ტექსტში ერთმანეთთან შეპირისპირებული „დიდი“ და „პატარა“, „ბევრი“ და „ერთი“, სიცოცხლისა და სიკვდილის მოტივები ქმნის წინააღმდეგობათა სისტემას, რომელიც ჭილაძის პიესაში უკვე ადამიანის, ძალაუფლებისა და თავისუფლების ურთიერთმიმართების სფეროში გადაინაცვლებს. ამგვარად, ფოლკლორული ტექსტის პარადოქსული სტრუქტურა დრამატულ ტექსტში სოციალური და ეთიკური პარადოქსების გამომსახველ მექანიზმად გარდაიქმნება.

ამ ტრანსფორმაციის საფუძველზე „ჩიტის“ სახე პიესაში თანდათან სცილდება ბუნების კონკრეტულ სურათს და ადამიანის მდგომარეობის მეტაფორად ყალიბდება. ჩიტი, როგორც მოძრაობის, თავისუფლებისა და სიცოცხლის სახე, საპირისპირო მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც მისი „მოკვდინება“ ძალაუფლებისა და იძულების სივრცეში ხდება შესაძლებელი. ამიტომ პიესის სათაურში წარმოდგენილი სიკვდილი შეიძლება წავიკითხოთ არა მხოლოდ როგორც ფიზიკური განადგურების, არამედ თავისუფალი ნების, შინაგანი წინააღმდეგობისა და ზნეობრივი პასუხისმგებლობის ჩახშობის ნიშნად. ამ თვალსაზრისით, ფოლკლორული ფორმულა ახალ ტექსტში უკვე არა თავად სიკვდილის ფაქტს, არამედ იმ მექანიზმებს გამოხატავს, რომლებიც ადამიანის თავისუფლების დაკარგვას განაპირობებს.

პიესის პერსონაჟთა ურთიერთმიმართება ამ სემანტიკურ მოდელს კონკრეტულ დრამატულ შინაარსს აძლევს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანდროსა და ბაადურის ურთიერთობა, რადგან მათი წარსული საერთო ღირებულებით საფუძველზეა აგებული, ხოლო შემდგომი გზები ამ საფუძვლის თანდათანობით რღვევას აჩვენებს. ერთ დროს თავისუფლებისთვის მებრძოლი ადამიანის ხელისუფლების სივრცეში გადასვლა და ძალაუფლების მიერ საკუთარი თავდაპირველი ღირებულებების ჩანაცვლება ქმნის იმ ტრაგიკულ წინააღმდეგობას, რომელსაც პიესის სათაური ფოლკლორული პარადოქსის ფორმით წინასწარ გვამცნობს. ჭილაძის დრამატულ სამყაროში თავისუფლების იდეა სწორედ მაშინ იძენს განსაკუთრებულ სიმძაფრეს, როდესაც იგი ძალაუფლების მიერ დეფორმირებულ არჩევანს უპირისპირდება.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია „მოკვდინების“ ორმაგი პერსპექტივაც. ერთი მხრივ, „ჭალას ჩიტი“ შეიძლება აღიქმებოდეს როგორც თავისუფლების სიმბოლო, რომელსაც გარე ძალა ანადგურებს; მეორე მხრივ, მისი სიკვდილი იმ ადამიანის შინაგანი ტრანსფორმაციის შედეგია, რომელიც თავად ხდება ძალაუფლების სისტემის მონაწილე. ამდენად, პიესაში „ჩიტის სიკვდილი“ მხოლოდ მსხვერპლის მდგომარეობას არ გამოხატავს — იგი პასუხისმგებლობის პრობლემასაც აყენებს. ადამიანი შეიძლება ერთდროულად აღმოჩნდეს ძალადობრივი სისტემის მსხვერპლიც და მისი მოქმედი სუბიექტიც. სწორედ ამ წინააღმდეგობაში იძენს ფოლკლორული ფორმულა თანამედროვე დრამატურგიულ მნიშვნელობას.

ამგვარად, თამაზ ჭილაძის პიესაში „ჭალას ჩიტი“ წარმოადგენს ფოლკლორულ-ინტერტექსტუალურ კოდს, რომლის საშუალებითაც ხალხური ტექსტის პარადოქსული მოდელი სოციალური, პოლიტიკური და ეთიკური რეალობის გააზრების ინსტრუმენტად გარდაიქმნება. „მომკვდარიყო“ ამ კონტექსტში მხოლოდ სიკვდილის აღმნიშვნელი ზმნური ფორმა აღარ არის; იგი უკვე მიღებული შედეგის, დასრულებული ტრაგედიისა და თავისუფლების დაკარგვის სიმბოლურ ნიშნად ფუნქციონირებს.

ამავე დროს, სწორედ ეს ფორმულა ქმნის მნიშვნელოვან წინაპირობას ინგა ბახტაძის ნოველის ინტერტექსტუალური წაკითხვისთვის: ბახტაძის მიერ სათაურში „მომკვდარიყო“-ს ნაცვლად „ჩამკვდარიყო“-ს გამოყენება გვთავაზობს არა ფოლკლორული კოდის უბრალო გამეორებას, არამედ მის ახალ სემანტიკურ კონფიგურაციაში გადატანას. ამ განსხვავების კვლევა შესაძლებლობას იძლევა, დავაკვირდეთ, როგორ იცვლება „ჭალას ჩიტის“ მნიშვნელობა

სოციალური და პოლიტიკური ტრაგიზმის სივრციდან მეხსიერების, პიროვნული იდენტობისა და ეგზისტენციალური გამოცდილების სფეროში.

ნოველის სათაური თავიდანვე ქმნის ინტერტექსტუალურ მოლოდინს. მოქმედება ვითარდება ძველი თბილისის კულტურულ სივრცეში, სადაც ლარას ოჯახური სახლი მხოლოდ საცხოვრებელი ნაგებობა კი არ არის, არამედ წარსულის მატერიალური და სულიერი მეხსიერების მატარებელი სივრცე. ძველი სახლის არქიტექტურული დეტალები, ავეჯი, ნივთები, მუსიკალური ინსტრუმენტები და ოჯახური ყოფის ნარჩენები დაკარგულ სამყაროს აცოცხლებს. სახლი ძველი თბილისის სახეს ატარებს, ხოლო მასში დარჩენილი ნივთები „წარსულის მემატიანის“ ფუნქციას იძენენ. ძველი სახლი არა მხოლოდ საცხოვრებელი სივრცეა, არამედ წარსულის მეხსიერების მატარებელი კულტურული სივრცე, რომლის თითოეული ნივთი დაკარგულ დროსთან კავშირის შენარჩუნებას ემსახურება. ამგვარად, ნოველაში „ჭალას ჩიტის“ კოდი თანდათან უკავშირდება არა მხოლოდ ინდივიდის, არამედ მისი კულტურული გარემოს რღვევას. ლარას სახლი დახურული მეხსიერების სივრცეა, რომელშიც წარსული ჯერ კიდევ აგრძელებს არსებობას. მისი ოჯახის ისტორია ძველი თბილისის კულტურულ გარემოსთან არის დაკავშირებული, ხოლო ლარა ამ სამყაროს „ბოლო მემკვიდრედ“ წარმოჩნდება. სწორედ ამიტომ მისი პირადი ბედი ნოველის ფარგლებში თანდათან სცილდება ინდივიდუალური ცხოვრების ფარგლებს: ლარას დაკარგვა იმ კულტურული სამყაროს დაკარგვასთანაც ასოცირდება, რომლის უკანასკნელ მატარებლადაც იგი გვევლინება. ამგვარად, ნოველის დასაწყისშივე ერთმანეთს უკავშირდება სივრცე, მეხსიერება და დაკარგვის განცდა.

ამ პროცესს თან ახლავს კულტურული სივრცის ფიზიკური გარდაქმნაც. ძველი თბილისი იცვლება ახალი ურბანული გარემოთი, ხოლო ძველი სახლის ნგრევა და მის ადგილას ახალი საცხოვრებელი სივრცის გაჩენა მხოლოდ არქიტექტურული ცვლილება აღარ არის. ავტორისეულ მხატვრულ სისტემაში ეს ცვლილება ძველი კულტურული მეხსიერების რღვევის ნიშანია. ნოველაში პირდაპირ არის ხაზგასმული, რომ ძველი თბილისისგან განსხვავებული „კორპუსული“ ყოფა ქალაქის სახესა და სულს ცვლის და გაუცხოებისა და გულცივობის განცდას აძლიერებს. ამდენად, ინდივიდუალური მეხსიერების სივრცის ნგრევა კულტურული მეხსიერების სივრცის ნგრევის პარალელურ პროცესად იკითხება.

ამ ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლარას შინაგანი გზა. მისი ცხოვრებისეული გამოცდილება თანდათან იძენს ეგზისტენციალურ განზომილებას. დედის გარდაცვალება, ძველი სახლის დაკარგვა, წარსულისგან მოწყვეტა და საკუთარი ცხოვრების საზრისის ძიება პერსონაჟს იმ კითხვებთან აპირისპირებს, რომლებიც ნოველაში უშუალოდ არის დაკავშირებული არსებობასთან, არჩევანთან, სიკვდილთან, შიშთან, ზრუნვასა და თავისუფლებასთან. ამდენად, ბახტაძის ტექსტში სიკვდილის მოტივი მხოლოდ ფიზიკური დასასრულის აღმნიშვნელი არ არის; იგი ადამიანის არსებობის შინაგანი საფუძვლების რღვევის პრობლემასაც მოიცავს.

ლარას პასუხი ამ კრიზისზე გაქცევა კი არა, განმარტოებაა. იგი ტოვებს კონსერვატორიას, უარს ამბობს იმ ცხოვრებაზე, რომელიც მანამდე მის იდენტობას განსაზღვრავდა, და ბავშვთა სახლში აღმზრდელის საქმიანობას ეძლევა. ამ გადაწყვეტილებაში შეიძლება დავინახოთ

პერსონაჟის მიერ არსებობის ახალი ფორმის ძიება: თუ ძველი კულტურული და ოჯახური სივრცე დაინგრა, ლარა საკუთარი არსებობის საზრისს სხვაზე ზრუნვის გზით ცდილობს მიაგნოს. ამგვარად, მისი ტრაგიკული გამოცდილება მხოლოდ პასიური მსხვერპლის მდგომარეობით არ განისაზღვრება; იგი მუდმივი არჩევანის პროცესში იმყოფება.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ნოველის მეორე ნახევარში შემოსული ბავშვი. პატარა ბიჭის გამოჩენა ლარას ცხოვრებაში შემთხვევითი ეპიზოდის ფუნქციას არ ასრულებს. დედის მზრუნველობასა და მამის გამოცდილებას მოკლებული ბავშვი თავადაც მიტოვებისა და სოციალური დაუცველობის მსხვერპლი ხდება. ლარა მასზე ზრუნვას იწყებს და ამგვარად საკუთარ არსებობას სხვისი სიცოცხლის შენარჩუნებას უკავშირებს. ეს ეპიზოდი ნოველის ეგზისტენციალურ სემანტიკაში მნიშვნელოვანი გარდატეხაა: არსებობის საზრისის ძიება აბსტრაქტული ფილოსოფიური მსჯელობიდან კონკრეტულ ეთიკურ ქმედებაში გადადის. თუმცა ამგვარი მცდელობა საბოლოოდ ვერ აჩერებს ლარას იზოლაციის პროცესს. გარემო, რომელშიც იგი ცხოვრობს, თანდათანობით კარგავს იმ კულტურულ და ადამიანურ ნიშნებს, რომლებთანაც მისი წარსული იყო დაკავშირებული. განსაკუთრებით სიმბოლურია ძველი სახლის დანგრევა და მისი ჩანაცვლება ახალი კორპუსით. ამ პროცესში იცვლება არა მხოლოდ სივრცე, არამედ ადამიანთა ურთიერთობის ფორმაც: ძველი თბილისური თანაცხოვრების ნაცვლად ჩნდება გაუცხოებული, დაქსაქსული და ურთიერთუნდობლობაზე აგებული ყოფა.

სწორედ აქ იწყებს გამოვლენას „ჩიტის ჩაკვდომის“ სემანტიკა. თუ ჩიტი სიცოცხლის, ხმისა და თავისუფალი მოძრაობის კულტურულ ნიშნად აღვიქვამთ, მისი „ჩაკვდომა“ ბახტაძის ნოველაში შეიძლება დავუკავშიროთ იმ პროცესს, რომლის დროსაც თანდათან ქრება ხმა, მეხსიერება, კავშირი და საბოლოოდ — თვით არსებობის განცდაც. ეს არ არის ერთჯერადი სიკვდილი; პირიქით, ნოველის სტრუქტურა აგებულია დანაკარგების თანმიმდევრობაზე. ჯერ ირღვევა ოჯახური სამყარო, შემდეგ ქრება ძველი სახლი და კულტურული გარემო, შემდეგ იცვლება სოციალური სივრცე, ხოლო საბოლოოდ ქრება თავად ლარაც.

ამიტომ სათაურის ზმნური ფორმა — „ჩამკვდარიყო“ — განსაკუთრებულ ინტერპრეტაციულ მნიშვნელობას იძენს. იგი ტექსტის ფინალის მიმართაც ახდენს რეტროსპექტულ მოქმედებას: მკითხველი ნოველის დასასრულს უკვე თავიდან გადააფასებს იმ პროცესებს, რომლებიც ლარას ცხოვრების განმავლობაში მიმდინარეობდა. „ჩაკვდომა“ ამ შემთხვევაში შეიძლება განიმარტოს როგორც სულიერი, მეხსიერებითი და კულტურული სიცოცხლის თანდათანობითი განელება. შესაბამისად, სათაური ნოველის დასასრულს უკვე არა მხოლოდ ერთ ფოლკლორულ სახეს, არამედ მთელი ტექსტის შინაგან დინამიკას აჯამებს.

ამ სემანტიკურ პროცესს განსაკუთრებულად ამძაფრებს ნოველის ფინალი. ლარას ძველი მეგობრები მასთან მიდიან, მაგრამ აღმოჩნდება, რომ იგი უკვე აღარ არის იმ სახლში, სადაც ადრე ცხოვრობდა. ახალი მცხოვრები მათ ეუბნება, რომ ლარა ფსიქიატრიულ საავადმყოფოშია, ხოლო შემდეგ ირკვევა მისი გარდაცვალების შესახებ. ამგვარად, პერსონაჟის ფიზიკური სიკვდილი მხოლოდ საბოლოო წერტილია იმ ხანგრძლივი პროცესისა, რომელიც ტექსტში გაცილებით ადრე დაიწყო.

ნოველის დასასრულს მთხრობელი გვიჩვენებს დამშრალი მდინარის ჭალას და პატარა ბორცვზე დამაგრებულ წარწერას, რომელიც ასე სრულდება: „თოლიები ნავსადგურში კვდებიან, მგალობელი ჩიტები — ჭალაში“. ამას მოსდევს ზღაპრის ფორმულა: „ზღაპარი იყო, ზღაპარი იყო...“ (ბახტაძე, 2023:264). ტექსტი კვლავ ზღაპრული ფორმულის რიტმში ბრუნდება და ამ წრიულობით ნოველის დასასრული დასაწყისთან და ხალხური ტექსტის კულტურულ მეხსიერებასთან ერთიანდება.

თამაზ ჭილაძის პიესისა და ინგა ბახტაძის ნოველის შედარებითმა ანალიზმა ცხადყო, რომ „ჭალას ჩიტის“ ფოლკლორული ფორმულა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში დინამიკურ ინტერტექსტუალურ კოდად ფუნქციონირებს. მისი მნიშვნელობა თითოეულ ტექსტში გარდაიქმნება შესაბამისი ჟანრული და მსოფლმხედველობრივი კონტექსტის მიხედვით. ჭილაძესთან „მომკვდარიყო“ სოციალური, პოლიტიკური და ეთიკური კრიზისის, თავისუფლების დაკარგვისა და ზნეობრივი არჩევანის ტრაგიზმს გამოხატავს, ხოლო ბახტაძესთან „ჩამკვდარიყო“ ამავე ტრაგიკული კოდის მეხსიერებით და ეგზისტენციალურ განზომილებაში გადააზრებას გვთავაზობს. ამდენად, „მომკვდარიყო“ და „ჩამკვდარიყო“ არა მხოლოდ ლექსიკური, არამედ სემანტიკური განსხვავების გამომხატველი ფორმებია: პირველი დამდგარ ტრაგიკულ შედეგს, მეორე კი მის თანდათანობით პროცესს წარმოაჩენს. კვლევამ დაადასტურა, რომ ერთი ფოლკლორული პირველწყარო სხვადასხვა ავტორულ ტექსტში განსხვავებული ტრაგიკული მოდელების ფორმირების საფუძველი ხდება და ამ გზით კულტურული მეხსიერების უწყვეტობასთან ერთად მისი მუდმივი სემანტიკური განახლების შესაძლებლობასაც ავლენს.

ლიტერატურა:

1. ბახტაძე, ი., - ,,თალხი პერანგი: ნოველები, ესეები“. თბილისი. 2023. 351 გვ.

2. გაფრინდაშვილი, ნ., - ,,შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები“. თბილისი: მერიდიანი. 2012

3. გობიანი, გ., - ხალხური პარადოქსი და ,,დაინვალიდებული“ თავისუფლების ცნება თამაზ ჭილაძის პიესაში - ,,ჭალას ჩიტი მომკვდარიყო“ , VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია"ენა და კულტურა" ,შ რ ო მ ე ბ ი, ნაწილი I. ქუთაისი, 2023. გვ. 101-106.

4. კინწურაშვილი, მ.,- ,,ენა, ტექსტი, ინტერტექსტი“. თბილისი: გამომცემლობა სიესტა. 2009. 300 გვ.

5. სიხარულიძე, ქ., - .,,ქართული საბავშვო ფოლკლორი“. სერია „ქართული ფოლკლორი“. თბილისი. 1928

6. ცაგარელი, ლ.,- ინტერტექსტუალობა, როგორც ფიქციონალობის სიგნალი. სამეცნიერო ჟურნალი ,,სემიოტიკა“ N3. თბილისი. 2008

7. ჭილაძე, თ. (2014). *ჩემი თეატრი*. თბილისი: ინტელექტი.

8. Kristeva, J. (1980). Desire in Language: A Semiotic Approach to Literature and Art. Edited by L. S. Roudiez. New York: Columbia University Press

9. Genette, G. (1997). Palimpsests: Literature in the Second Degree. Translated by C. Newman and C. Doubinsky. Lincoln: University of Nebraska Press.

Guranda Gobiani
Central European University
Kutaisi, Georgia
e-meil: gurandagobiani@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.11
SJIF 2026: 8.679

The Intertextual Semantics of "The Bird in the Meadow": A Comparative Analysis of Tamaz Chiladze's Play and Inga Bakhtadze's Novella

Abstract

This study examines the intertextual function and semantic transformation of the folkloric formula "The Bird in the Meadow" in Tamaz Chiladze's play The Bird Had Died in the Meadow and Inga Bakhtadze's novella The Bird Had Faded Away in the Meadow. The relevance of the research lies in exploring the different artistic interpretations of a shared folkloric source and the interrelationship between the two literary texts. The scholarly novelty of the study consists in a comparative analysis of the functioning of the same folkloric code in dramatic and prose texts. The research employs comparative, intertextual, and hermeneutic methods. The analysis demonstrates that, in Chiladze's play, the folkloric formula "The Bird in the Meadow" is transformed into a code expressing social, political, and ethical crises, the loss of freedom, and the tragedy of moral choice. In Bakhtadze's novella, the same formula shifts into a semantic field associated with memory, cultural identity, and the gradual disintegration of individual existence. The verbal forms used in the two titles—momkvdariqo ("had died") and chamkvdariqo ("had faded away")—provide an important basis for interpreting these distinct artistic models. The study demonstrates that, in literary texts, a folkloric formula functions not only as a carrier of cultural memory but also as a mechanism for generating new meanings and shaping different models of tragic experience.

Keywords: folkloric formula, intertextuality, semantic transformation, cultural memory, tragedy, Tamaz Chiladze, Inga Bakhtadze.

რეცენზენტი: პროფესორი: ლუდმილა ბრანიშტე